ქ.თბილისში, ა.პოლიტკოვსკაიას ქ.№ 57-ში

შერეული ფუნქციის შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის

საექსპერტო დასკვნა 11.07.2018. წ.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი პროექტი დამუშავებულია 2018 წელს შ.პ.ს. ,,RCO''-ს მიერ. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია მთავარი კონსტრუქტორის თ.მშველიძის და ინჟ. კონსტრუქტორ მ.დუმბაძის მიერ.

შენობა დაპროექტებულია 14 სართულიანი, დამატებითი სარდაფის სართულით, რომელიც წარმოადგენს ავტოსადგომს.

შენობის გაბარიტები ღერძებში 20,10×16,6 მეტრი;

სართულიანობის სიმაღლე: ავტოსადგომის h=2,80მ; ტიპიური სართულის h=3,3 მეტრი და პირველი-ორი სართული h=3,0 მ.

სამშენებლო ნორმების და წესების პნ 01.01.09 (სეისმომედეგი მშენებლობა) თანახმად შენობის მშენებლობის უბანი (ქ.თბილისი) განლაგებულია სეისმური საშიშროების მიხედვით 8 ბალიან ზონაში.

კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის კარკასულ ვარიანტში, 25 და 30 სმ სისქის დიაფრაგმებით; + 9.20 ნიშნულიდან ურიგელო სისტემით.

კარკასის სვეტები: 50×100; 40×100; 40×80; 40×60 და 30×30 სანტიმეტრი კვეთის. რიგელები 40×50 (h) სმ; გადახურვის ფილა-22,20 და 18 სმ. სისქის; კიბე მონოლითური რკინაბეტონის; სახურავი ბრტყელი. შემომფარგვლელი საკედლე კონსტრუქციულად მიღებულია თვითმზიდი მსუბუქი ბეტონის წვრილი ბლოკების წყობა, შესაბამისად ანტისეისმური ღონისძიებებით.

საძირკვლები დაპროექტებულია წერტილოვანი, შეკრული რანდკოჭებით. საძირკვლები დაფუძნებულია ძირითად ქანებზე საანგარიშო წინაღობით R_0=90კგ ძ/სმ^2.

რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B20; B25 კლასის ბეტონი, აგრეთვე A-I და A 500 C კლასის არმატურა.

დასკვნა: ექსპერტიზაზე წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია საქართველოში მოქმედი ნორმების და წესების შესაბამისობაში, სათანადო პროფესიონალურ დონეზე. შენობის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური

გადაწყვეტები სრულად აკმაყოფილებს როგორც სტატიკურ დატვირთვებზე, ასევე სეისმურ ზემოქმედებაზე, მდგრადობის საიმედოობის მოთხოვნებს.

პროექტს ეძლევა დადებითი რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

ექსპერტი: ინჟინერ-კონსტრუქტორი /პ.მიქაძე/

შ.პ.ს. ,,არქსტუდია ნიაპი''-ს

დირექტორი /ვ.ძაგანია/